



**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის
აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო
პროდუქტიულობისა და კვლევის ხარისხის შეფასების წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროდუქტიულობისა და კვლევის ხარისხის შეფასების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის (შემდგომში - პერსონალი) მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების პირობებს, კრიტერიუმებსა და პროცედურებს, ასევე ადგენს შეფასების განხორციელებაზე უფლებამოსილ სუბიექტებს და არეგულირებს შეფასების პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს.

მუხლი 2. შეფასების მიზანი

აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის და კვლევის ხარისხობრივი შეფასების მიზანია მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და გამოვლენილი სისუსტეების აღმოფხვრა, პერსონალის მოტივაციისა და შრომითი ნაყოფიერების გაზრდა. აგრეთვე, უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარება.

მუხლი 3. შეფასების ფორმები და მის განხორციელებაზე უფლებამოსილი სუბიექტები

1. ყოველ სასწავლო წელს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური (შემდგომში - სამსახური). აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების პროცესი იწყება სექტემბრის პირველ კვირაში. მოწვეული

პერსონალის შეფასება ხორციელდება სემესტრში ერთხელ, სექტემბრისა და მარტის პირველ კვირაში, რისთვისაც პერსონალს გადაეცემა თვითშეფასების ფორმა.

2. შეფასება მოიცავს ორ ეტაპს. პირველი ეტაპია აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალისთვის თვითშეფასების ფორმების (დანართი 1) და შევსების ინსტრუქციის (დანართი 2) გადაცემა. პერსონალმა შევსებული ფორმები სამსახურს უნდა დაუბრუნოს 10 დღის ვადაში. მეორე ეტაპზე სამსახური ახორციელებს მოწოდებული თვითშეფასების ფორმების შედეგების ანალიზს.

3. სამსახური მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით 4 კვირის ვადაში ქმნის სამომავლო სამოქმედო გეგმას და ანგარიშს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, სამომავლო სამოქმედო ნაბიჯების დასაგეგმად. სამსახურის ინიციატივით აღნიშნულ პროცესში შესაძლოა ჩაერთოს, როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ასევე მოწვეული შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი. მიღებული შედეგები აგრეთვე გადაეგზავნება უნივერსიტეტის სკოლებს, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს. პერსონალს ინდივიდუალური შეფასება ეცნობება ინდივიდუალურად.

მუხლი 4. პერსონალის საქმიანობის შეფასება და მისი შედეგები

1. პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება ხორციელდება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით (დანართი 3).

2. პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხარისხობრივი შეფასება ქულების მიხედვით არ ხორციელდება (დანართი 4), მიღებული შედეგები რაოდენობრივად დაჯამდება, გამოყენებულ იქნება რექტორის წინაშე წარსადგენ ანგარიშში.

3. პროდუქტიულობის და კვლევების შეფასება ინახება პერსონალის პირად საქმეში (დანართი 5).

3. წახალისების ფორმები შესაძლოა იყოს, მაღლობის გამოცხადება, ფასიანი და არაფასიანი საჩუქარი, კონფერენციაში მონაწილეობის ან სახელმძღვანელოს დაბეჭდვის დაფინანსება/თანადაფინანსება და ა.შ.

მუხლი 5. შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი

1. პერსონალი უფლებამოსილია, საბოლოო შეფასების შედეგები გაასაჩივროს მისი გაცნობიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივრის არსებობის შემთხვევაში რექტორის ბრძანებით იქმნება სამ წევრიანი კომისია, რომელიც განიხილავს საჩივარს.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობს შეფასების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირიც. კომისია ვალდებულია საკითხის განხილვისას მოიწვიოს საჩივრის ავტორი.

2. შეფასებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. სამსახურის შესაბამისი წარმომადგენელი შეფასების პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის ვალდებულია ჩაატაროს უნივერსიტეტის პერსონალთან საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრები შეფასების პროცესთან დაკავშირებით.

2. შეფასების შედეგები პირად საქმეში ჩასადებად გადაეცემა საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 21 ივნისის N27 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ინტენსივობის შეფასებისა და განვითარების წესი“.